აჭარის წყლის
ალიანსი

№59
16/V/2022წ.

www.awa.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

საგანი: გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიში

პროექტის ფარგლებში „ აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამა" სს.აჭარის წყლის ალიანსს შემოაქვს სკოპინგის ანგარიში კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის **ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის** არეალისთვის.

პროგრამა ხორციელდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირისგან დამატებითი ფინანსირებით. პროგრამა ხორციელდება სს „აჭარის წყლის ალიანსის" მიერ. პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების შეგროვება, გაწმენდა აჭარის დაბებსა და სოფლებში, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს და გარემოსდაცვას.

სკოპინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლთან შესაბამისობაში (კანონის ნომერი 890/2017) და ის იძლევა მოკლე ინფორმაციას მახასიათებლების, განხორციელების ადგილის და დაგეგმილი აქტივობების პოტენციური გავლენების შესახებ. დოკუმენტი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს სკოპინგის გადაწყვეტილებას მე-7 მუხლით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურების მიხედვით, როდესაც დაგეგმილი აქტივობებზე ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გთხოვთ, იხილოთ ამ განაცხადზე დართული პროექტის მოკლე აღწერა.

გთხოვთ, საქართვლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღოს სკოპინგის გადაწყვეტილება მე-7 მუხლში განსაზღვრული სკოპინგის პროცედურების შესაბამისად, ექვემდებარება/საჭიროებს თუ არა დაგეგმილი საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ველოდებით თქვენს გადაწყვეტილებას და ვრჩებით თქვენს განკარგულებაში საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი განმარტებისთვის.

დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები (ბეჭდური და CD დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიები:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა დაბა ოჩხამურში ჩამდინარე წყლების #2 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტი - **გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში** - 92 (ოთხმოცდათორმეტი) ფურცელი;
- შეიფ ფაილების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

თეიმურაზ ბედინაძე
დირექტორი

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა #1, ოფისი #4-7, ტელ: (0422) 278686, info@awa.ge www.awa.ge

k.Gamsakhurdia St #1, Office #4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686, info@awa.ge www.awa.ge